# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 3 ხუთშაბათი, 20 ნოემბერი 1908 წ. № 3

გაზეთი „დროება“ ერთის წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—4 მან. 50 კაპ., ერთის თვით 90 კაპ., გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივ სტრიქონი პირველ გვერდზე მეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განაცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და ... რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.
ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეთ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.
რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქუჩა, № 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА“.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.



1908 წლის 18 ნოემბრიდან ქ. ტფილისში გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**დროება**

ერთი წლით ღირს 7 მან., ექვსი თვით—4 მან. 50 კ., 1 თვით 90 კაპ.
ცალკე ნომერი ერთი შაური.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან. წლით გაზეთის გამოწერა შეიძლება მარტო პირველ იანვრიდან პირველ იანვრამდე.

**ხელის მოწერა შეიძლება:** ტფილისში: „დროების“ რედაქციაში (დიდი ვანქის ქუჩა N 12); „ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების“ მაღაზიაში მიღ ქურუკაშვილთან (სასახლის ქ., თავად-აზნაურთა ქარვასლა).


მშობლები: მღვ. **სილიბისტრო და ბერმილო,** ძმები და და: **ეპიფანე, არონი, აფთონი, პეტრე, ანტონი და ბათურა** აუწერელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და ნაცნობებს უდროვოთ დაკარგვას პირველნი ორი საყვარელი შვილისას, ხოლო დანარჩენები დაუვიწყარი ძმის

**დიმიტრი ჩხაიძისას.**

დაკრძალვის დღე დანიშნულია 21-ს პარასკევს ს. აცანაში. (635—1)

**ელენე, ალექსანდრე** (საშიკო) და **კონსტანტინე თავ. ფალავანდიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ მათ ძვირფას დედის

**კნეინა ელისაბედ სვიმონის ასულის**

გარდაცვალებას და სთხოვენ მობრძანდნენ მისი გვამის დასაკრძალავად სოფ. ცერონისში ამ თვის 20-ს, ღვთის მშობლის ეკლესიაში, დილის 10 საათზედ. (1—უ.—1)

**ტფილისის სახაზინო თეატრი**

საოპერო ამხანაგობა **ანტონ ეიხენვალდის** გამგეობით
პარასკევს, 21 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება

**„მხიარული ქვრივი“**

მონაწილენი: ქ-ნნი ვიშკემსკაია, ფერრარი, კალინინა მეორე; ბ-ნი დანილევსკი, ევლახოვი, როსოლიმა, როზანოვი, კარელინი, ლუტროვი, ტომსკი და სხ.
დირიჟორი **ა. ეიხენვალდი** რეჟისორი **ც. თ. ურბანი.**
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
**ანონსი:** 22 ნოემბერს სარაჯიშვილის მონაწილეობით „მარგალიტის მაძიებელნი“

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. გირტჩნო, N 9. (უ)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე** დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11-დან 1-ლ ს. და საღამოთი 5—6 ს. ვერა, ოლგას ქუჩა, N 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—599—24)

**ექიმი** კბილისა **გრიგ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—5 საათ. ოლგას ქუჩა, N 33. (25—6.—4)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი** იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოვნის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—30)

**ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში** იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარცხ შილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—73)

**ექიმი ა. ი. აშიანცი** ქუთაისში ყოფილი ორდინატორი ხარკოვის საუნივერსიტეტო ქირურგიულ კლინიკისა, იღებს ავადმყოფებს ქირურგიულ და ვენერიულ, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებათა. დილით 8—12, საღამოთი 5—7 ს. ტფილისის ქ., სახლი რუხაძისა, N 20. (25—კვ.—5)

**ექიმი მ. ი. ბეგიშვილი** ქუთ. დაბრუნდა ხარკოვ-გარეთიდან და იღებს შინაგან, ქალთა და ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს., საღამოთი 3—5 ს. ბალახვანის ქ., ს. ფიფინოვისა, N 4. (5—უ—10)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—12)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **მ. ი. ბებიშვილი** იღებს ავადმყოფებს დილით 9—1 ს. საღამოთი 3—5 ბალახვანის ქუჩა, ფიფინოვის სახლი, N 4. (25—6—8)

**სამკურნალო** ქუთაისში ქირურგიული და ქალთა სნეულებისა ტერაპევტიულ განყოფილებით, მუდმივ საწოლებით და მოსალოგინებელ ოთახით
**ექიმი ივ. ბოკერიასი**
ამ წლის 10 ნოემბრიდან გადადის პრინცესა მიურატის სახლში, გიმნაზიის ქუჩაზე, სადაც წინად თოფურიას სამკურნალო იყო. (6—7)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—7 საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6.—32)

**გეომეტრი და მარკშაიდერი**
**გ. ს. ასათიანი**
ვეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**
ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, ვ. ს. ასათიანი. (0—6.—57)

**ქ. ქუთაისში**
**თ. ა. მთავრიშვილის**
**წიგნის მაღაზიაში**
(ალექსანდრ. ქ. ბულვარის მახლობლად, დიმ. ზ. ბოკერიას შენობაში)
იყიდება ყოველგვარი ქართული და რუსული სახელმძღვანელოები და საკითხავი წიგნები.
სოფლის მასწავლებლებს, სოფლის სკოლებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ დაკლებულ ფასით.
აქვე იყიდება წიგნი **გუთანი,** ოჯახსა და სკოლაში ყრმათათვის საკითხავი, შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის მიერ. ფასი 80 კ. (15—6.—11)

**წიგნი** „ნაკადულის“ ხელის მომწერთ ეძლევათ მარკ ტვენის „ტომის თავგადასავალი“ თარგმანი გრიგოლ ყიფშიძისა. ვინც სრულ ფასს არ შემოიტანს „ნაკადულისას“ მათ პრემია არ გაეგზავნებათ. (5—უ.—5)

გამოვიდა და იყიდება ყველგან
**ჰერგარტ ჰაუპტმანის**
ცნობილი და განთქმული დრამა
**„ავადმყოფი ხალხი“**
დრამა 2 მოქ. ვ. გუნიას თარგმანი.
**ფასი 20 კაპ.** (10—633—2)

**„ტფილისის სობრანიე“**
კვირას, 23 ნოემბერს გაიმართება
**მასკარადი**
ბილეთები მასკებისათვის ბ-ნთ წევრებს და კანდიდატებს შეუძლიანთ მიიღონ „სობრანიეს“ შვეიცარისაგან ყოველ დღე, დილით 10—2 ს., საღამოთი 7—10 საათზე.
სტუმრებს საზოგადო წესით შეუძლიანთ შესვლა და უნდა გადაიხადონ: ვაჟებმა 2 მან., მანდილოსნები უფასოდ. (2—632 1)

## ტფილისი, 20 ნოემბერი.

იმ ბანაკში, რომელიც გაზეთ „ზაკავ. ობოზრ.“ გარშემოა დაბინავებული, ყოველ ცისმარე დღე საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე ლაპარაკობენ; არკვევენ ასეთ ორგანიზაციის მნიშვნელობას და საჭიროებას, ამხნევებენ თავის თავს და მკითხველებს, ოცნებობენ და ამ ოცნებით იბრუნებენ თავს. საყურადღებოა, რომ ამ ბანაკის საოცნებო საზოგადოებრივი ორგანიზაცია პოლიტიკურ ელფერს ატარებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად თვით ორგანიზაციის შესაქმნელად ... კი ბედნიერ არიან იმ შეგნებით, რომ სხვებს სახელმძღვანელო დირექტივებს აწვდიან. აი ეხლაც ბრძნულად მოგვითხრობს „ზაკავ. ობოზრ.“, რომ საჭიროა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებმა კავკასიის ნამდვილი მდგომარეობა იცოდნენ, ვიდრე კავკასიის კანონ-პროექტების განხილვას შეუდგებიან, ხოლო ამისთვის კი კარგი იქნებოდა პეტერბურგში საგანგებო კაცები გვყოლოდა და სხვა აქედან თითქოს ბუნებრივის აუცილებლობით გამომდინარეობს დასკვნა, რომ „ზაკ. ობოზ.“ მესვეურებმა და მათმა თანამოაზრეებმა ხელი გაანძრიონ, მათ მიერ საჭიროდ ცნობილი საგანგებო კაცები გამონახონ, შესაფერი ცნობებით დატვირთონ და პეტერბურგში გაისტუმრონ; დასკვნა სწორედ ეს გამომდინარეობს, მაგრამ გაზეთს სულ სხვა გვარი დასკვნა გამოჰყავს: ჩვენ კეთილი აზრი გამოვთქვით და ესეც გვეყოფა, ასრულებაზე კი სხვებმა იზრუნეთ, აი თუნდ თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულომაო.

რა თქმა უნდა, ამ გვარი თავის გართობა „პოლიტიკურ საქმიანობით“ არავის არავითარ ვნებას არ მოუტანს—დიაღ, ითამაშონ გულუბრყვილო ბავშვებმა ხუხულები აშენებით, მაგრამ ის კი საგულისხმო მოვლენაა, რომ ჩვენს საზოგადოებაში სრულწლოვანი დამწიფებული ბატონები წრფელის გულით არიან მოწადინებული საქმე აკეთონ, მაგრამ საქმის ნაცვლად ხელიდან მარტოოდენ გასართობ საპნის ბუშტი გამოსდით. გვაგონდება ის დრო, როცა ერთად ერთ ქართულ გაზეთის ფურცლებს ბისმარკის პოლიტიკაზე მხურვალე წერილებით აჭრელებდნენ და ტფილისიდან დირექტივებს უგზავნიდნენ ევროპის სახელმწიფოებს, ასე და ასე მოიქეცითო. ევროპის პოლიტიკა მაშინ ჩვენებურ პუბლიცისტებისათვის ჭადრაკის თამაში იყო, მით უფრო სამური და სასიამტკბილო, რაც უფრო რთული მდგომარეობა იშლებოდა მათ წინაშე. დრონი იცვალნენ, მაგრამ ბევრ ჩვენებურ პუბლიცისტს კი პოლიტიკა ისევ ჭადრაკის თამაშობად მიაჩნია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ წინად ისეთ პოლიტიკურ ამოცანებზე ჰხარჯავდნენ ენერგიას და მელანს, რომლებიც სადღაც სხვაგან უნდა გადაწყვეტილიყვნენ უცხო ხალხის და მოღვაწეებისაგან, ეხლა კი ასევე შორიდან ეთამაშებიან იმ საქმეებს, რომლებიც პირდაპირ ჩვენს ქვეყანას შეეხებიან და გარეშე ჩვენის ქვეყნისა ვერსად ვერ მოწესრიგდებიან. გაზეთმა „ზაკავ. ობოზრენ.“ დიდის ზათქითა და ზეიმით დაიწყო თავისი სიცოცხლე: მარჯვნივ და მარცხნივ, წინ და უკან ცეცხლს აფრქვევდა, არ გვინდა იდეალებზე, პროგრამებზე და პრინციპებზე ლაპარაკი, ჩვენ პრაქტიკის ხალხი ვართ და პრაქტიკული პოლიტიკა უნდა ვაწარმოვოთო. მას შემდეგ სულ ნახევარი წელიწადია გასული და ეს პრაქტიკის თაყვანისმცემლები დღეს უკვე დაეთხოვნენ პრაქტიკას, რომელსაც ხელის ჩასაჭიდი ვერ უპოვნეს; პრაქტიკის ნაცვლად მათმა მეცადინეობამ მოიტანა მხოლოდ ტრივიალური თეორეტიკოსობა ისეთ ვიწრო საქმეებში, სადაც არავითარ თეორიებს არავითარი განვითარება არ ეკუთვნით.

ნუ იფიქრებთ, „ზაკავ. ობოზ.“-ს პუბლიცისტებისთვის თავზე კაკლის დამტვრევა გვინდოდეს. სრულიადაც არა! ჩვენ მიერ აღნიშნული თვისება, საქმის ცოდნის უქონლობა, მარტო ამ ბანაკს არ ახასიათებს. ეს ჩვენებურ ინტელიგენციის საერთო სენია, ამ სენით მეტად თუ ნაკლებ ყველა შეპყრობილია. იმისი დასაბამი ის ძირითადი უთანხმოებაა, რომელიც არსებობს ჩვენი ინტელიგენციის საყოველდღეო პრაქტიკულ ცხოვრების და იმის მისწრაფებათა შუა: ეს მისწრაფება პრაქტიკულ ცხოვრებასთან არ არის შესისხლხორცებული და vice versa. ნამდვილად ჩვენებურ ინტელიგენციის მთელი სულისკვეთება გამოიხატება იმ იდეიურ მიმართულებით, რომელსაც მაგრად ჰქონდა მიდგმული ფეხი ოთხიოდე წლის წინად პოლონეთში და „უგოდოვცების“ სახელით იყო ცნობილი. პრაქტიკულ პოლიტიკის ლოზუნგი, რომელიც წამოაყენა წინ „ზაკ. ობოზ.“-ს ბანაკმა, არსებითად და შინაარსით სწორედ „უგოდოვცების“ პოლიტიკას გულისხმობს. ესაა მიზეზი, რომ ასე დაულალავად ჰლაღადებს ეს გაზეთი, „ჩინოვნიკებად“ მიიღეთ ჩვენი თანამოაზრენიო. იგივე სარჩული უდევს მის ყოველდღიურ მოწოდებას, მთავრობის მოხელეებთან თანამშრომლობა გვინდაო. ჩვენის ღრმა რწმენით, რაც უფრო ადრე ჩამოყალიბდება თითოეული მიმართულება თავის შესაფერ ფორმაში, მით უკეთესი. ჩვენებური „უგოდოვცებიც“ უნდა ჩამოყალიბდნენ. იმათაც აშკარად და ცხადად უნდა იცნან თავისი თავი. მხოლოდ მაშინ შეიქნება შესაძლებელი, დააღწიოს ქართველმა ინტელიგენციამ თავი სხვისთვის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ რეცეპტების წერას და თავის მოტყუებას ვითომც ამით რაღაც საქმეს აკეთებსო. საქმე ის კი არაა, თავი მოიგონეროთ და უდაბურ ფონსა შინა ბრძანება-რძანებაზე გასცეთ. საქმე ის იქნება, სადაც ვინ იტყვის, უმალ იმის ასრულებას თითონვე მოჰკიდოს ხელი. თორემ რასა ჰგავს, პოლიტიკოსობთ გვარწმუნებენ, ეს და ეს საანგარიშო საქმეა ასასრულებელი, მაგრამ ამის ასრულებაზე არა ვზრუნავთ; ჩვენ ვთქვით, ხოლო ასრულებით კი სხვებმა აასრულონო.

## გოგასეულის კოშკი
(ნაწყვეტი)

უდაბურს ხევში, ძველ ნანგრევთ შორის,
მოსჩანს ეს ჩემი წმინდა ტაძარი;
უხმო მოწამე ჩვენის ცხოვრების,
საფუძველ მტკიცე უზარმაზარი.
გამოხვეული ხავსის ძაძებში
იმის მნახველთა გულგასაგმირად
და, ვით მწუხარე ჰირისუფალი,
ჩაფიქრებული მდინარის პირად.
თითქო მოსთქვამსო, რომ აქ ოდესმე
ჰდუღდა სიცოცხლე თურმე განთქმული;
ელფერ-შეცვლილი დროთა ბრუნვისგან,
ბედის ქარ-ცეცხლში ჩამქნარ-ჩანთქმული..
მისი წარსული, თაფლ-ნაღვლით სავსე,
მიზიდავს შორით აქ მომავალსა
და ვეკითხები მას გულ-ნატკენი,
როცა მივაპყრობ გონების თვალსა:
„აბა რას ფიქრობ, ჩემო ჭაღარავ,
რათ მოგიხრია მხცოვანი თავი?
რისთვის ჩაგიცვამს შენ ეგ ძაძები,
წყლულის აღმძვრელი სულშემხუთავი?..
ნუ თუ მოგიკვდა მართლა პატრონი,
შესწყდა სიცოცხლის მაჯა ძლიერი
და შენს მიდამო ხევსაც მოესხა
ტურა-მელათა გროვა მშიერი?!
მოიკალათა შენს დედა-გულში,
რა-კი ერთხელვე შემოდგა ფეხი...
ბარტყობს, იზრდება მანდ ეგ ნადირი,
შეუპოვარი, ურჩი, უქმები?..
„დიახ, მოხუცო, ვიცი რას ჩივი,
„ეგ უხმო კვნესა ჩემთვის ცხადია;
„მაგრამ ცხადია ისიც, რომ ბედი
„მიეთ-მოეთობს, ცვალებადია:
„დღეს ერთთანაა, ხვალ მეორესთან,
„ზეგ სხვას შიაფრენს მეშვიდე ცამდე...
„მაგრამ იცოდე, რომ ის არავის
„არ შეაცხვება უკუნისამდე!
„ადრე თუ გვიან, უკუ-უდგება,
„შეახებს თავისს უწყალო ხელსა
„და შეაჩერებს მის აღმაფრენას,
„რა განუმზადებს თას უსმ-ნაღველსა,—
„ისეთს, როგორიც შენ თვით იგემე,
„როგორც სასჯელი თავკადუვალი...
„მაშ სხვაც ელოდეს, რომ გაიმეხებს
„მოულოდნელად დრო მომავალი,—
„დრო, როს დადგება დღე განკითხვისა,
„დაჰკრავს საათი თავზარდამცემი
„და შიშთვილსა ჰყოფს ის, ვინც გდალატობს
„ვითა იუდა მოძღვრის გამცემი!..
„გაიწმინდება შენი მიდამო,
„დღეს ყოველ ქვემძრომთ ბინა სამყოფი
„და განახლდები ისე, ვით ნაში,
„წმინდა მარჯვენის ნაშრომ ნაყოფი...
„მაშ ნუ სთვლემ, გწამდეს, რომ აჰყვავდება
„კვლავ ეგ მამული, გოგასეულო,
„უხმო მოწამევ ჩვენის ცხოვრების,
„შავის ფიქრებით გარმოსეულო!!.“

**იასონ წერეთელი.**

## სახელმწიფო სათათბირო
**მუშათა საკითხის კომისია.**

მე-16 სხდომაზე, 17 ნოემბერს, სათათბიროს ჯერ მოხსენდა ოპოზიციის 31 დეპუტატის წინადადება იმის შესახებ, რომ ხელახლა მოხდეს მუშათა საკითხის კომისიის არჩევანი. **ვორონკოვი** საჭიროდ სთვლის ახალ კომისიის არჩევას, რადგან არსებულ კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა—არჩეულ გზას არ დავტოვებთო, ეს გზა კი ეწინააღმდეგება სათათბიროს სურვილს; მაგალითად, კომისიამ უარჰყო ფინანსთა სამინისტრის კანონ-პროექტი სამინისტროს მუშათა დაჯილდოვების შესახებ, როცა ისინი დაშავდებიან. **ვორონინი** აცხადებს, რომ ს.-დემოკრატები ვერ მიიღებენ მონაწილეობას კომისიის არჩევნებში, რადგან დარწმუნებულნი არიან, რომ მესამე სათათბიროს მიერ არჩეული კომისიები ყოველთვის მუშების ინტერესების წინააღმდეგნი იქნებიანო. **ტიმოშკინი** წინააღმდეგია ახალ კომისიის არჩევისა: არჩევნები მხოლოდ დააგვიანებენ კანონ-პროექტის განხილვასაო. **ფონ-ანრეპი** პრინციპიალურად ვერ სცნობს შესაძლებლად არსებულ კომისიის მაგიერ ახალის არჩევას, როცა მას მუშაობა არ დაუსრულებია; ეს საშიშ პრეცედენტს შექმნისო.

მცირე კამათის შემდეგ უმრავლესობამ უარჰყო წინადადება ახალ კომისიის არჩევის შესახებ.

**საგლეხო კანონების კომისია.**

ერთ-ერთ კომისიას მინდობილი აქვს გადასინჯვა კანონებისა, რომელნიც შეეხებიან სოფლის სხვა და სხვა ბეგარას. 53 დეპუტატს წინადადება შემოაქვთ, კომისიას ერთი თვის ვადა დაენიშნოს საქმის გასათავებლადო. კომისიის თავმჯდომარე **ბალაშოვი** აცხადებს, რომ ბეგარის საკითხს დიდი კავშირი აქვს სოფლის და ვოლოსტის მმართველობის რეორგანიზაციის საქმესთან და სანამ ეს უკანასკნელი საკითხი არ იქნება განხილული, მანამ ძნელია პირველის გადაწყვეტაო. თუ ამ გარემოებას ანგარიშს არ გავუწევთ, ამ შემთხვევაში კომისიას ერთ თვეზე უფრო ადრე შეუძლია მინდობილობის ასრულებაო. **მიაგკი** იმ აზრისაა, რომ კომისია განზრახ აგვიანებს საკითხის გადაწყვეტას, რადგან სათათბიროს უმრავლესობას—მემამულეთ—არა ჰსურთ გლეხებთან ერთად გადასახადების ულეული სწიონ. **კროპოტოვი** იცავს წინადადებას და მოითხოვს ვადის დანიშვნას. მცირე კამათის შემდეგ უმრავლესობა ემხრობა წინადადების ავტორთ და ერთი თვის ვადას უნიშნავს კომისიას.

**აგრარული საკითხი.**

**უდოვიცკი** 9 ნოემბრის კანონის წინააღმდეგი არაა, მაგრამ მაინც საჭიროდ სთვლის კერძო მემამულეთა მიწა-წყლის გამოსყიდვას გლეხთა სასარგებლოდ. **ხასმამედოვი** აცხადებს, რომ მაჰმადიანთა ფრაქცია კანონის წინააღმდეგია, რადგან იგი პოლიტიკურის მიზნისათვის არის გამოცემული და აგრარულ საკითხს ვერ გადასწყვეტსო. **ლეუსი** ... აზრისაა, რომ სათემო მიწათმფლობელობის ყოფნის თუ არ ყოფნის საკითხი თვითონ გლეხებმა უნდა გადასწყვიტონო. **სიროტოვი** ამბობს რომ გლეხებისთვის ისე ამ საკითხს არა აქვს მნიშვნელობა, როგორც იმას—გაუფართოვდება თუ არა მიწათმფლობელობაო. გრაფი **ბობრინსკი** 1-ლი: „სათემო მიწათმფლობელობის დამცველნი იმ მოხუც გლეხებს მომაგონებენ, რომელნიც ერთ დროს ბატონყმობის აღდგენას მოითხოვდნენ. აქ ამბობენ რომ 9 ნოემბრის კანონი თავად-აზნაურობის გავლენით არის გამოცემულიო. მაგრამ, ბატონებო, ისტორიკოსი მილიუკოვი ერთ თავის თხუზულებაში ამბობს, თემობა რომელმაც გლეხთა თავისუფლება შეზღუდა, თავად-აზნაურობის გავლენით იქმნა შემოღებულიო (კითხულობს ამ ადგილს მილიუკოვის წიგნიდან). იგივე მილიუკოვი აქ, სათათბიროში, გვეუბნება, 9 ნოემბრის კანონი, რომელიც თემობას არღვევს, თავად-აზნ. გავლენით გამოიცაო. ტყუილად სდებთ ბრალს თავად-აზნაურობას. თქვენ გინდათ ერთმანეთს მიუსიოთ წოდებანი, მაგრამ ვერას გახდებით“. **ლიახნიცკი** ტრუდოვიკების მხრით ჰკითხულობს ფორმულას, რომელშიაც თავი აქვს მოყრილი ყველა მოსაზრებათ 9 ნოემბრის კანონის წინააღმდეგ და რომელიც უარჰყოფს ამ კანონს. **სიდორენკო** დარწმუნებულია, რომ 9 ნოემბრის კანონი სოფელს ვერ დაამშვიდებს: გლეხთ მიწა უნდათ და არა სათემო მფლობელობის შესახებ კანონებიო. **საზონოვის** აზრით, ისევ ს.-დემოკრატების აგრარული პროექტი სჯობია კადეტებისას: პირველი ქველმოქმედება არისო, მეორე-კი ცარცვა-გლეჯას აკა-

ნონებსო (ტაშის ცემა მარჯვნიდან). **პრედკალინი** აცხადებს, რომ ს.-დ. ფრაქცია დიდმნიშვნელოვან საკითხად აღიარებს 9 ნოემბრის კანონს, რომელიც 90 მილიონ გლეხს ეხება, და რადგან ასეთ საკითხზე კამათი წუთებით შეიზღუდა, ფრაქცია შეუძლებლად სთვლის კამათში მონაწილეობის მიღებასო (ტაშის ცემა მარჯვნით). **საგათელიანი** თემობის მომხრეა და 9 ნოემბრის კანონში დიდ საფრთხესა ხედავს მომავალ თაობათათვის. **მილიუკოვი** პასუხს აძლევს საზონოვსა და ბობრინსკის: კამათის დროს არც მე, არც სხვა კადეტი სათემო მფლობელობის პრინციპიალურ დამცველებად არ გამოვსულვართო, ჩვენ მხოლოდ 9 ნოემბრის კანონის წინააღმდეგნი ვართო.

ბევრმა ორატორმა სიტყვაზე უარი სთქვა, ასე რომ საზოგადო კამათი 9 ნოემბრის კანონის შესახებ დასრულდა და ახლა, ალბათ, მის მუხლების ცალკე განხილვას შეუდგებიან.

# აკაკის იუბილეი

დღესასწაულის დღე. აკაკის მთავარ საიუბილეო კომიტეტს მრავალი ცნობა მოსდის საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. ყველგან ემზადებიან საიუბილეო დღესასწაულისთვის, მაგრამ ბევრს პროვინციელ კომიტეტს ჰგონია, რომ დღესასწაული 30 ნოემბერს გაიმართება. კომიტეტის დადგენილებით, იუბილე გაიმართება 7 დეკემბერს და არა 30 ნოემბერს.

**აკაკის იუბილეი მოსკოვში.** ქართულ კულტურის მოყვარულთა წრის ბიურომ მოსკოვიდან წერილი გამოუგზავნა მთავარ საიუბილეო კომიტეტს. აღნიშნულ წრის წევრებს მოსკოვში რამდენიმე სხდომა ჰქონიათ სადღესასწაულო პროგრამის შესამუშავებლად. წრეს უხელმძღვანელნია მთავარ-კომიტეტის პროგრამით და დაუდგენია: 1. იუბილეის დღეს მიულოცოს მგოსანს დეპეშით და მიართვას ადრესი; 2. გამართოს მოსკოვში სალიტერატურო საღამო, რომელზედაც პროფესორები ა. ხახანაშვილი, საკულინი და ... წაიკითხვენ რეფერატებს და რუსის საზოგადოებას გააცნობენ აკაკის, როგორც მგოსანს. წაიკითხავენ აგრეთვე სტუდენტებიც. 3. გამოსცეს რუსულ ენაზე აკაკის ნაწერების კრებული და გაავრცელოს რუსის საზოგადოებაში და 4. გამართოს ხელის მოწერა ფონდის გასაძლიერებლად.

**თავად-აზნაურობა** ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალმა გუშინ წინ აცნობა საიუბილეო კომიტეტს, რომ ტფ. დეპუტატ[ო]ა საკრებულოს და მარშლების შეერთებულმა სხდომამ დაადგინა, მხურვალე მონაწილეობა მიიღოს აკაკის საიუბილეო დღესასწაულში. სადღესასწაულო დღეს მთელი კრებული წინამძღოლთა და დეპუტატთა გამოცხადდება იქ, სადაც დანიშნული იქნება დელეგატთა მიღება და მიართმევს იუბილიარს ადრესს. ამასთან საკრებულომ დაადგინა, თავად-აზნაურობის მომავალ მორიგ საგუბერნიო კრებას წარუდგინოს წინადადება, 1909 წ. შემოსავლიდან გადაიდოს ასი თუმანი აკაკის სახელობის ფონდის გასაძლიერებლად.

**დუშეთი.** ქ. დუშეთშიაც ჰქონიათ თათბირი დღესასწაულში მონაწილეობის მიღების შესახებ. კრებას გადაუწყვეტია, გამართოს დღესასწაული 7 დეკემბერს. ამოურჩევიათ (10 კაცისაგან) კომიტეტი, რომლისათვისაც დაუვალებიათ, გამართოს ხელის მოწერა ფონდის გასაძლიერებლად.

# ქრონიკა

## ტ ფ ი ლ ი ს ი

**ლექციის აკრძალვა.** ტფ. პოლიციმეისტერის განკარგულებით გრ. რობაქიძეს აეკრძალა ქართულად ლექციის წაკითხვა მგოსნის აკაკის შესახებ. ბ-ნი რობაქიძე ლექციის წასაკითხად მიიწვია ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების გამგეობამ.

**ხალხის დაუსწრებლად.** გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, აიკრძალა ხალხის დასწრება დუშეთის საქმის გარჩევაზე. სასამართლოში ყაზახები ჩააყენეს. კარებში პოლიცია დადგა. უშვებენ მხოლოთ ბრალდებულთა მახლობელ ნათესავებს.

**ნიხრის შეცვლა.** დღეისთვის ტფ. ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია სხდომა საბჭოს სამეურნეო კომისიისა, რომელმაც უნდა განიხილოს მოხსენება პურის და ხორცის ნიხრის შეცვლის შესახებ. გამგეობამ უკვე მოჰკრიბა ცნობები საკლავ საქონლისა და ფქვილის ფასების შესახებ.

**უმაღლეს კურსებზე.** დღეს, საღამოს 7 საათზე, უმაღლეს კურსებზე კავკასიის შესასწავლად (ალექსანდრეს ბაღი) მიუნხენის უნივერსიტეტის დოქტორი ადოლფ დირრი წაიკითხავს მეორე ლექციას კავკასიის ენებზე.

**სხდომა.** დღეისთვის დანიშნულია ჩვეულებრივი სხდომა წ.-კითხვის საზოგადოების გამგეობისა. გამგეობამ უნდა განიხილოს რამდენიმე მიმდინარე საქმე.

**ლექციის გადადება.** კვირას, 16 ნოემბერს, ზუბალაშვილების სახალხო სახლში ერობის შესახებ ლექცია უნდა წაეკითხა თავ. გ. მ. თუმანოვს, მაგრამ სახლი ისევ დაკეტილია საუნივერსიტეტო საზოგადოებისათვის და ამიტომ ლექციის წაკითხვა გადაიდო 23 ნოემბრისათვის. ლექციის წაკითხვა განზრახულია პუშკინის სახელობის ბიბლიოთეკის სადგომში.

**კახეთის რკინის გზა.** ტფ. თავ[ა]დ-აზნაურთა რწმუნებულებს, როგორც პეტერბურგიდან იუწყებიან უკვე გადაუციათ გზათა სამინისტროსთვის შუამდგომლობა კახეთის რკინის გზის შესახებ. პეტერბურგიდან კიდევ შეეკითხნენ დეპუტატთა საკრებულოს, კონცესიის უფლების უზრუნველსაყოფელად 30,000 მან. წარადგინეთ ხაზინაში თუ არაო? ფული, როგორც ვიცით, უკვე წარდგენილია. თავად-აზნაურთა შუამდგომლობას გზათა სამინისტრო ახლო მომავალში განიხილავს.

**სტიპენდიები.** მომავალ კვირას ქალაქის გამგეობა განიხილავს თხოვნებს პეტერბურგის უნივერსიტეტში ორ თავისუფალ სტიპენდიის დასანიშნავად. სტიპენდიები ამიროვისა და ლორის-მელიქოვის სახელზეა. მთხოვნელი მრავალია.

**საისტორიო საზოგადოების კრება.** 17 ნოემბერს საღ. 8 საათზე მოხდა ქართულ საისტორიო და საეტნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივი კრება. საზოგადოების მდივანმა ს. რ. გორგაძემ წაიკითხა საინტერესო, ცოცხალი და დაკვირვებით, დაწერილი მოხსენება: „იბერია მეფიდან მირიანამდე“ (I—III საუკუნე ქრისტეს დაბადების შემდეგ). რეფერენტმა დაუპირდაპირა „ქართლის მოქცევისა“ და „ქართლის ცხოვრების“ ცნობები ამ პერიოდის შესახებ იმდროინდელ უცხოელთა, უმთავრესად კლასიკურ მწერლების (სტრაბონის, ტაციტისა სხვების) ცნობებს და ამ შედარებითი მეთოდის შემწეობით დაახასიათა იმდროინდელ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა, მისი ურთიერთობა რომთან, პართიასთან, სპარსეთთან და სომხეთთან. ნათელი მოჰფინა ზოგიერთ ბნელ ისტორიულ ფაქტებს და შეასწორა ზოგიერთი ქრონოლოგიური დატა. გამოიწვია კამათი. ბ. ბ. გაბინიანცმა, დ. კარიჭაშვილმა, გრ. ვოლსკიმ და სხვებმა რამდენიმე შენიშვნა გაუკეთეს ბ. გორგაძეს, რომელმაც პასუხი გასცა თავის ოპონენტებს. ამის შემდეგ დაიხურა ჩვეულებრივი კრება და გაიმართა არა ჩვეულებრივი კრება (მხოლოდ საზოგადოების წევრების თანადასწრებით), რომელმაც 20 მეტი ხმით აირჩია საისტორიო—საეტნოგრაფიო საზოგადოების წევრად, მათ შორის სომხურ ენისა და ისტორიის მცოდნე ბ-ნი გაბინიანცი. კრება გათავდა ღამის 12 საათზე.

**კიდევ შანტაჟისტები.** როგორც „ტ. ლ.“ გადმოგვცემს ტფ. სამაზრო პოლიციის სოფ. ველიის მახლობლად ტყეში 13 ნოემბერს გაუნთავისუფლებია წუწუნაშვილი, რომელიც 11 ოქტომბერს ვილაც შანტაჟისტებს გაუტაცნიათ ტფილისიდან და იმის მამისთვის ფული მოუთხოვნიათ. თვით შანტაჟისტები პოლიციის მისვლისას გაფანტულან. ამ საქმის გამო პოლიციას დაუპატიმრებია ნიკ. დაკოშვილი, მეთევზე ივანე ლუკიანოვი, გოგლა პაპავაძე, ევა მზარეულიშვილი და ლექსო პეტრაშვილი. ამათ წინააღმდეგობა გაუწევიათ პოლიციისთვის. მათ ალმოსჩენიათ 2 რევოლვერი და 86 პატრონი.

**მკვლელობა რედაქციაში.** გაწვეულ ზაფხულს „ტიფ. ლის.“-ს რედაქციაში ღამე ერთმა მოსამსახურემ ანტონ კოსტეჩკინმა მოჰკლა მეორე მოსამსახურე არსენ მუსეგიანცი. 18 ნოემბერს ოლქის სასამართლოში გაირჩია ამ მკვლელობის საქმე. გამოძიების დროსაც და ეხლაც სასამართლოში კოსტეჩკინმა განაცხადა, რომ მუსეგიანცი ღამე მოსვენებას არ მაძლევდა და მკვლელობის ღამეს ხომ ძალი იხმარა და უზნეო შეურაცხყოფა მომაყენაო. ამაზე მოგვივიდა ჩხუბი და მოვკალი მუსეგიანციო. ოლქის სასამართლომ კოსტეჩკინს გადაუწყვიტა სამი წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

**ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გენერალ გუბერნატორის განკარგულებით, სხვა და სხვა სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის დასჯილ იქმნენ: გორის მაზრის მცხოვრები გრიგოლ გოგიჩევი სამი თვით დაპატიმრებით; ნიკოლოზ, ლუკა და დომენტი ხოჯაშვილები და ლუკა პატარაია ორ-ორი თვით; გარდა ამისა, ეს უკანასკნელნი სასჯელის მოხდის შემდეგ გაიგზავნებიან საგენერალ-გუბერნატოროდან; ტფილისის მოქალაქე გრიგოლ ჰიშკარიანი დაჯარიმებულ იქმნა 5 მან.

ტფილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში განთავისუფლდა ერთი სტიპენდია ქალაქ ტფილისისა. ვისაც უნდა სტიპენდიის მიღება, თხოვნები გამგეობაში უნდა წარადგინოს 10 დეკემბრამდე.

18 ნოემბერს პოლიციამ დააპატიმრა ივანე მათიაშვილი, რომელსაც ნოემბრის პირველ რიცხვებში ტერ-კარაპეტოვის ხორბლის საწყობიდან 1205 მანეთის ხორბლის გატანა ჰბრალდება.

როგორც ქუთაისიდან იტყობინებიან, გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით დაუხურავთ საათაშვილის საბუღალტრო კურსები.

# სასამართლო

## დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცება.

(შემდეგი. იხილე „დროება“ N 2.)

18 დეკემბერს სასამართლომ განაგრძო მოწმეების გამოკითხვა. გამოკითხეს რამდენსამე მოწმეს პოლიცმეისტრის თანაშემწეს განდელაკის დასწრებით [?]. ზოგმა თითქმის ისეთივე ჩვენება მისცა, როგორიც გამოძიების დროს. საინტერესო იყო ორი მოწმის, სახელდობრ ტფილისში პოლიცმეისტრად ნამყოფის მარტინოვის და მეათე ნაწილის ბოქაულის ხაიარინოვის ჩვენებები.

მარტინოვმა, საზოგადოდ, დაასურათა ბრალდებულთა მონაწილეობა დუშეთის ხაზინიდან ფულის გატაცებაში. შემდეგ ჯერ პროკურორმა და მერე დამცველებმა მისცეს კითხვები. პროკურორმა ჰკითხა მარტინოვს, იცნობს თუ არა იგი იასეს გედევანიშვილს. გამოირკვა, რომ გედევანიშვილი და მარტინოვი ერთ პოლკში მსახურებდნენ. გედევანიშვილი სეკუნდანტადაც კი ჰყოლია მარტინოვს ერთ ოფიცერთან დუელში.

**პროკურორი.** თქვენა სთქვით, რომ გედევანიშვილს კარგად იცნობთ, ერთი ეს მითხარით, გედევანიშვილის ქონებრივი მდგომარეობა არ გაინტერესებდათ?

**მარტინოვი.** გედევანიშვილი ადვილად [?] ჯამაგირით სცხოვრობდა, ვიცი, რომ მას მცხეთაში სახლი ჰქონდა, ისიც გაყიდული, და მამული, რომელიც აგრეთვე გაყიდული იყო.

**პროკურორი.** გედევანიშვილის ცოლის ქონებაზე, ხომ არა გაგიგიათ-რა?

**მარტინოვი.** არაფერი ვიცი. გედევანიშვილმა ცოლი შეირთო მაშინ, როდესაც ჩვენ დავშორდით.

**პროკურორი.** ხომ არა გაგიგონიათ-რა, რომ გედევანიშვილს მამული ეყიდოს ცოლის სახელზე დუშეთის ხაზინის გაძარცვამდე?

**მარტინოვი.** არაფერი, მხოლოდ ბოლოს შევიტყე რაიმე ამისთანა, ისიც სწორედ არ ვიცი.

**პროკურორი.** ერთი ეს მითხარით, საიდან მიხვდით, რომ დუშეთის ხაზინის გაძარცვაში სამხედრო პირები უნდა ყოფილიყვნენ?

**მარტინოვი.** სამხედრო შტაბიდან დუშეთში ისეთი წერილი იყო მიწერილი, რომ შეუძლებელი იყო არ გვეფიქრა ეს. ამას გარდა აგენტებმა ცნობა მომიტანეს ამის შესახებ.

მარტინოვის სიტყვებიდან გამოირკვა, რომ გედევანიშვილისა და ცაგარელის გარდა, აგენტებმა ცნობა მოუტანეს აგრეთვე მიქელაძეზედაც, მაგრამ ცნობები უხეში გამოდგა და მიქელაძისათვის ხელი აღარ უხლიათ. მარტინოვის სიტყვით, ვეღარ ცნობა ბრალდებულთა შესახებ მისთვის აგენტებს და აზატოვს გადაუციათ. აზატოვი იმავე აგენტებს შეუპყრიათ მატარებელში, რომელსაც აზატოვი და მეორე ბრალდებული, რომელის, გვარი მარტინოვს აღარ ახსოვს (მგონი, ერთ ერთი თაქთაქიშვილი იყო, სთქვა მარტინოვმა) გედევანიშვილის სახლიდან დაბრუნდნენ, სადაც ისინი ბარათისთვის იყვნენო.

ვექილების შეკითხვაზე, თუ რა ბარა-

# ფელეტონი

## მომიახლოვდი!

მომიახლოვდი, ჩემო ლამაზო,
გარდამიყარე სევდის ღრუბლი;
მიმეცი შვებას,
თავდავიწყებას,
სხივი მომფინე ცხოველ-მყოფელი!

მსურს დაცემული კვალად ავმაღლდე,
მთრთოლვარე ხელში ავიღო ჩანგი
და ჩემს მამულსა
ათხრებულსა
კვალად ვუმღერო ცაური ჰანგი!..

ა. შ—ლი.

## ადამიანის ბუნებიდან

### პროფ. ვეისმანის აზრი.*)

ვეისმანის შეხედულებით, ბუნებრივი სიკვდილი და სიცოცხლის ხანგრძლივობა გამოიხატება შემდეგში:

1. უბრალო, ერთ უჯრიანი ორგანიზმები, როგორც დამოუკიდებელნი, რეპროდუქტიურნი—გამამრავლებელი არსებანი კვდებიან ბუნებრივის სიკვდილით. ყოველივე ამ გამამრავლებელ ორგანიზმის ინდივიდუალური არსებობა შეზღუდულია გამრავლების და გაყოფის პროცესით; დედობრივი ორგანიზმი არა კვდება, ის იყოფა ორ ან მეტ ნაწილად, რის შემდეგაც თვითეული ნაწილი დამოუკიდებლად იკვებება, იზრდება, მრავლდება და სცოცხლობს. აქ სიცოცხლის მოქმედება გამოიხატება მარტო გამრავლებაში, აქ ბუნებრივ სიკვდილს არა აქვს ადგილი. აქ შეიძლება სიკვდილი, მხოლოდ ეს სიკვდილი შემთხვევითი, ძალდატანებითი სიკვდილი იქნება და არა ბუნებრივი.

2. ბუნებრივის სიკვდილით კვდებიან მხოლოდ ბევრ უჯრიანი ორგანიზმები. ეს ორგანიზმები შესდგებიან რეპროდუქტიურ და სომატიურ უჯრებისაგან. რეპროდუქტიური უჯრები იღებენ მონაწილეობას გამრავლების პროცესში, დაეხმარებიან სხეულს მოდგმის გაუმჯობესობაში და შენახვაში, სომატიური უჯრები არ იღებენ მონაწილეობას გამრავლებაში, ესენი ეხმარებიან სხეულს მხოლოდ ზრდაში: ამათ შეუძლიანთ მოკვდნენ ბუნებრივის სიკვდილით, მაშასადამე, როგორც ვეისმანი გვასწავლის, ბუნებრივი სიკვდილი მარტო სომატიურ უჯრების ხვედრი ყოფილა. ყოველივე ორგანიზმი, რაც უფრო მაღლა დგას ზოოლოგიურ საფეხურზე, მით უფრო რთულია მისი აგებულება და მით უფრო აშკარად ეტყობა მას თავის შემადგენელ ნაწილებ შორის ფიზიოლოგიურ შრომის გაყოფა. იწყებს თუ არა სხეული ცხოვრებას ფიზიოლოგიურ შრომის დაყოფით, ზრუნვს თავის არსებობაზე, მოდგმის შენახვაზე, მაშინ ეცნობა სიკვდილსაც. მისი სიცოცხლე და სიკვდილი მჭიდროდ არის გადაბმული ერთი მეორეზე, უსიკვდილობა აქ შეუძლებელია და ხშირად ვხედავთ, რომ რომელისამე ნაწილის სიკვდილი აძლევს სხეულს საშუალებას გამოიღოს მან ახალი ნაწილი და ამ რიგად განაგრძოს თავისი სიცოცხლე და ჩამომავლობა. ეს გარემოება იმდენად ეხმარება სხეულს, რომ, უეჭველია, უამისოდ იგი ვერ შესძლებდა სიცოცხლეს და უნდა მომკვდარიყო.

ბევრ უჯრიანი ორგანიზმი რომ შედგენილი იყოს მარტო რეპროდუქტიურ უჯრებისაგან, მაშინ ბუნებრივი სიკვდილი იმისთვისაც ისე შეუძლებელი იქნებოდა, როგორც ეს სიკვდილი შეუძლებელია ერთ უჯრიან არსებისათვის. მაგალითისთვის საკმარისია მოვიყვანოთ ეგრედ წოდებული სამისნო ბურთი ანუ მაგოსფერი. მაგოსფერი შესდგება რამდენიმე მსხალის მგზავს უჯრისაგან, რომელთა წვეტიანი ბოლოები შუაგულში აქვთ შებრუნებული, გარედან კი შემოსილნი არიან წამწამებით. წამწამების ამოძრავებით მაგოსფერი თავისუფლად ტრიალებს წყალში და გადადის ერთი ადგილიდან მეორეზე. მოახწევს თუ არა დანიშნული დრო, მაგოსფერი დაიშლება ნაწილ-ნაწილად და თვითეულ ნაწილიდან გამოდის ახალი მაგოსფერი, რომელიც იწყებს ახალ დამოუკიდებელ ცხოვრებას. ამ მაგალითში ჩვენ ვერა ვხედავთ სიკვდილს, მაგოსფერი მრავლდება და არა კვდება. ვინაიდან მაგოსფერი შესდგება რეპროდუქტიურ უჯრებისაგან, ყოველივე მისი ნაწილი იღებს მონაწილეობას გამრავლების პროცესში და მოდგმის შენახვაში, მათ არ შეუძლიან მოჰკვდეს ბუნებრივის სიკვდილით, მაგრამ სხვა შემთხვევაში იწყებს თუ არა სხეული ზრდას, განვითარებას, გაუმჯობესობას, ის უფრო და უფრო უთვისდება ბუნების მოთხოვნილებას, ისი უჯრები კვეძოვდებიან და თავს იჩენენ სომატიური უჯრებიც. ბოლოს და ბოლოს აი რასა ვხედავთ ცხოველთა ცხოვრებაში: ჯერ ორგანიზმი შესდგება მარტო რეპროდუქტიურ უჯრებისაგან და მათში ადგილი არა აქვს ბუნებრივ სიკვდილს, მერე სხეული იზრდება, ვითარდება, უკეთდებიან [?] მას უჯრები და თან ემატება ახალი სომატიური უჯრებიც. რადგან სომატიური უჯრები მოასწავებენ სიკვდილს, სხეულიც ეცნობა სიკვდილის მოვლენას.

3. ამ ორ დებულებიდან სჩანს, რომ ბუნებრივ სიკვდილს დიდი კავშირი ჰქონია გამრავლების პროცესთან და მოდგმის შენახვის პირობებთან. როგორც ყოველივე უჯრის არსებობა შეზღუდულია იმ სარგებლობით, რომელიც მოაქვს მას სხეულისათვის, ისე სხეულის არსებობა შეზღუდულია იმ სარგებლობით, რომელიც მოაქვს მას მოდგმისათვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ყოველივე ორგანიზმის სიცოცხლის ხანგრძლიობა დამყარებულია იმ პირობათა ვითარებაზე, რომლის განვითარებაშიაც ორგანიზმის არსებობა სარგებლოა მოდგმისათვის—და ეს როც სხვა და სხვანაირი უნდა იყოს სხვა და სხვა სხეულისათვის, ესე იგი ყოველსავე არსებას უნდა ჰქონდეს თავისებური სიცოცხლის ხანგრძლიობა. სამივე ამ დებულებას ცამამტკიცებელი იყო ის მაგალითები, რომლებზედაც ჩვენა გვქონდა ლაპარაკი წინა წერილში. ის ორგანიზმები, რომელნიც მალე ვითარდებიან სქესობრივის მხრით და განირჩევიან გამრავლების დიდი ნიჭიერებით, ცოტას ცოცხლობენ (მწერები). ის ორგანიზმები კი, რომელნიც გვიან ვითარდებიან, ნაკლებად მრავლდებიან და განირჩევიან დიდი ხნის სიცოცხლით. აქ იმასაც აქვს გავლენა, თუ როგორ იზრდება სხეული და როგორ იჩენს იგი ცხოვრებით ენერგიას: რაც უფრო დიდი გავლენა აქვს ზრდის და ინდივიდუალურ განვითარების პროცესს სქესურ სიმწიფის მოახლოვებაზე, მით უფრო შესამჩნევი უნდა იყოს სიცოცხლის ხანგრძლიობის დამოკიდებულება ამ პროცესისაგან, ამის მაგალითიც ბევრია ბუნებაში, მაგ., იმგვარი უზარმაზარი ცხოველები, როგორც სპილო და ვეშაპი ძლიერ დიდხანს სცოცხლობენ. მაგრამ აქედან ჩვენ მაინც არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ პატარა ტანის ცხოველები ცოტას უნდა ცოცხლობდნენ.

ამგვარს მოვლენას უნდა ჰქონოდა ადგილი იმ შემთხვევაში, როდესაც მარტო ზრდა იყო გამრავლების მოქმედების მიზეზი, მაგრამ აქ მარტო ზრდას არა აქვს ადგილი, აქ სხვა პირობებიც მოქმედებენ და ამ სხვა პირობებს ადვილად შეუძლიანთ გადააჭარბონ ზრდას და მაშინ ზრდამაც და სიცოცხლის ხანგრძლიობამაც უნდა იცვალონ ურთ-ერთი დამოკიდებულება. კიბო, ლორთან შედარებით, 200 ჯერ ნაკლებს იწონის, მაგრამ ორივე ოც-ოც წელს ცხოვრობს; ძუძუმწოვარნი ხშირად უფრო დიდი ტანისა არიან, ვიდრე ფრინველები, მაგრამ ბევრი მათგანი, ფრინველებთან შედარებით, ცოტას ცოცხლობენ: ქორი ცოცხლობს 150—160 წელს, დათვი-კი 50 წ., არწივი 160 წ.; მაიმუნი 30—40 წ.; ლომი 35 წ.; ვეფხი 40, ცხენი 25—35, ადამიანი 60—70 წ. რაა ეს ციფრები ქორის 160 წლის სიცოცხლესთან შედარებით!

მაგრამ ამგვარია „სხვა“ პირობების გავლენა სიცოცხლის ხანგრძლიობაზე—ამ გვარ „სხვა“ პირობას, როგორც ნათქვამი იყო, ეკუთვნის გამრავლების ენერგიაც. ბიოლოგიურად, სხვათა შორის, ორგანიზმის დანიშნულებას შეადგენს ჩამომავლობის მოშენებაც. იმ ორგანიზმმა, რომელმაც ბევრი ჩამომავლობა უნდა გააჩინოს, დიდი ხანიც უნდა იცოცხლოს, ეს მისთვის უუსაჭიროესი პირობაა. მაგრამ ამასთან მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გამრავლების ენერგიასაც; თუ ეს ენერგია მას დიდი ექნება, მაშინ არც დიდი ხნის სიცოცხლე იქნება მისთვის საჭირო; თუ ცოტა, მაშინ დროც დიდი მოუნდება მიზნის მისაღწევად. მაგალითისთვის ავიღოთ ყვითელმკერდი პეპელა (златогрудка), რომელიც მოდგმის მოსაშენებლად სდებს ათას კვერცხზე მეტს; იგი სდებს ამ კვერცხებს შეუჩერებლად სულ მოკლე ხნის განმავლობაში, ამისათვის მისთვის არც დიდი სიცოცხლეა საჭირო. მაგრამ მას რომ მოაკლდეს გამრავლების ენერგია და ყოველ დღე დასდოს ათი კვერცხი, მაშინ 1000 კვერცხის დადებას უნდა მოახმაროს ასი დღე, მხოლოდ წელიწადში რომ 10 კვერცხი დასდოს, მაშინ უნდა იცოცხლოს 100 წელს.

რასაკვირველია, ამგვარ მაგალითებს ვერა ვხედავთ მწერებს შორის, მაგრამ სამაგიეროდ ფრინველებში ხშირია ამგვარი მოვლენა, ბევრ ფრინველს ბევრი მოძრაობისა და ფრენის გამო დიდძალი ენერგია ეკარგება; წლის განმავლობაში ასეთი ფრინველები სდებენ ერთს ან ორს კვერცხს. ამის გამო მათთვის დიდად საჭიროა სიცოცხლის ხანგრძლიობა და ისინიც ხანგრძლივად ცოცხლობენ; ცოტა რომ იცოცხლონ, ხომ

*) იხ. „დროება“ N 1.

თი იყო ეს, მარტინოვმა მიუგო საქმე იმაშია, რომ ფული რო გაიტაცეს, ზოგიერთი არ მისცეს და აზატოვი ერთ ბრალდებულთან ერთად გედევანიშვილთან იყვნენ, რომ ფულის ნაწილი გამოერთმიათ ცაგარელთან მისატანად, მგონი ცაგარელთანაო, სწორედ არ ვიცით, იქნება სხვასთანაც მიჰქონდათო, დაუმატა მარტინოვმა.

**პროკურორი.** ერთი ეს მითხარით ბრალდებულებს ხომ არა უთქვამთ რა პარტიის შესახებ?

**მარტინოვი.** როგორ არა, ისინი სრულებით არა ჰმალავდნენ ამას. გედევანიშვილმა სთქვა, რომ ფედერალისტი ვარო, ისიც დაუმატა, ფედერალისტებში განხეთქილება არსებობსო, არ ბანაკად არიან გაყოფილნი, მშვიდობიანებად და რადიკალებად (Мирные и радикальные) და მე იმათ ვარგებო.

**პროკურორი.** მშვიდობიანნი რა სახელს ირქმევდნენ, ხომ არ გაგიგონიათ რომელიმე ბრალდებულისაგან? ავტონომისტებს ხომ არ ირქმევდნენ?

**მარტინოვი.** სწორედ არ ვიცი, იქნებ ავტონომისტებსაც ირქმევდნენ. აზატოვმა მითხრა, რომ „ბოევიკი" ვარო.

**პროკურორი.** ცაგარელზედაც ამობდნენ ფედერალისტიაო და ან საიდან გამოიყვანეთ ის ბრალდებულად?

**მარტინოვი.** როგორ არა, ამობდნენ ცაგარელზე, აზატოვმა გვითხრა. ამას გარდა ცაგარელმა დეპეშა მისწერა გედევანიშვილს და თუმცა ეს დეპეშა გედევანიშვილის ძმის არჩევას ეხებოდა, მაგრამ ეს განზრახვით იყო. დეპეშა დუშეთის ხაზინის გაცარცვის შესახებ იყო.

ამის შემდეგ მარტინოვს ვექილებმა და ბრალდებულებმა მისცეს კითხვები. უნდა შევნიშნოთ, რომ მარტინოვი ვექილების და ბრალდებულების შეკითხვებზე უმეტეს ნაწილად ამბობდა—არ ვიცი, არ მახსოვს. რადგან მარტინოვმა განაცხადა, ყველა ცნობა ბრალდებულების შესახებ აზატოვმა და აგენტებმა გადმომცესო, ამიტომ ვექილებიც აზატოვის და აგენტების შესახებ აძლევდნენ კითხვებს. უმთავრესად ვექილებს უნდოდათ გაეგოთ, აზატოვი აგენტი ხომ არ იყო ან მარტინოვისა ან მონასტირსკისა.

**ბარათაშვილი.** ერთი ეს მითხარით, ცნობებს აგენტების გარდა სხვა ვინმეც გაწვდიდათ?

**მარტინოვი.** იყვნენ სხვებიც, მაგრამ უმთავრესად აგენტები გვაწვდიდნენ. აზატოვმაც ბევრი ცნობა მოგვცა.

**ბარათაშვილი.** აი ამბობთ, რომ აგენტებით. ვინ აგენტები?

**მარტინოვი.** აგენტების გვარებს ვერ გეტყვით.

**ბარათაშვილი.** ერთი ეს მითხარით აზატოვი თქვენი ან მონასტირსკის აგენტი ხომ არა ყოფილა?

**მარტინოვი.** არა.

**ბარათაშვილი.** აზატოვი თქვენი აგენტიც რომ ყოფილიყო აქ იტყოდით?

**მარტინოვი.** არა, არ ვიტყოდი.

მარტინოვი მიჰხვდა, რომ მოხერხებით დაიჭირეს და ხმა მაღლა დაუმატა: მაგრამ გადაჭრით გეცხადებ, რომ აზატოვი არა ყოფილა ჩვენი აგენტი.

**კლანკი.** იქნებ მონასტირსკის აგენტი იყო, რა იცით?

**მარტინოვი.** შეიძლება, არ ვიცი...

შემდეგ ვექილების გამოკითხვიდან გამოირკვა, რომ აგენტებს აგანსად ფული ეძლეოდათ: მანასტირსკისთვის კი ცალკე საჩუქარი ყოფილა გადადებული. ის ბარათი, რომელიც ვითომ აზატოვს გედევანიშვილისაგან მიჰქონდა, არავის უნახავს. ეს ბარათი მატარებელში დაკარგულა, მარტინოვისთვის ეს ბოქაულს უთქვამს. გამოირკვა ისიც, რომ სამინისტროსაგან ფული ყოფილა გადადებული იმათთვის, ვინც გამტაცებლებს აღმოაჩენდა და სხვა.

ამის შემდეგ სასამართლომ ნება მისცა ბრალდებულებს, კითხვები მიეცათ მოწმისთვის

**გედევანიშვილი.** ერთი ეს მითხარით, თქვენ ვინმე არსენა ქარსიძეს ხომ არ იცნობდით ან თუ იცნობდით, რა უთხარით?

**მარტინოვი.** ვიცნობდი, მაგრამ ის ერთხელ ვნახე ციხეში და სულ ორიოდე კითხვა მივეცი.

**გედევანიშვილი.** მაშ თუ არ გახსოვთ, მე მოგაგონებთ. თქვენ არ უთხარით ქარსიძეს, რომ დუშეთის საქმეში გედევანიშვილიც ჩარიეთ. თქვენ არ უთხარით, რომ ამისთვის 600 მანეთს მოგცემთ და თან დაუმატეთ, რომ თუ ამას არ იზამ, ჩულ დაგღუპავო.

**მარტინოვი.** ეგ მე არ მითქვამს...

ამისთანა კითხვა ბევრი მისცეს ბრალდებულებმა. სხვათა შორის ბრალდებულმა კიკნაძემ სთქვა, რომ ოქმი უკვე შედგენილი იყო, როცა ჩვენ ხელის მოსაწერად აგვიყვანეს ბოქაულთანაო. აზატოვმა უთხრა მარტინოვს, თქვენ მე დამპირდით, გაგანთავისუფლებ, თუ ყველაფერს მეტყველად და ყოველ მოხვლისას ხელს მართმევდით და ბაზარობას იწყებდით. გედევანიშვილი ... მარტინოვი ერთხელ იმასაც ამბობდა: არ ვიცი, არ მახსოვს.

მარტინოვის შემდეგ მეათე ნაწილის ბოქაულს ბოიარინოვს ჩამოართვეს ჩვენება. თავდაპირველად ბოიარინოვს მიუხდენია გამოძიება. ბრალდებულები რეზერვში მიუყვანიათ ჩვენების ჩამოსართმევად, ყოფილ პოლიცმეისტერს მარტინოვს ეს საქმე დაუვალებია ბოიარინოვისათვის. ბოიარინოვს აღარ ახსოვს, რომელს გამოჰკითხა პირველად ჩიქოვანს თუ აზატოვს (ოქმში ნაჩვენებია, რომ ჩიქოვანისათვის უკითხავს). მგონი, აზატოვსაო. ბოიარინოვმა სთქვა, ბრალდებულნი გამოვტეხეო. ამისათვის რაც პოლიცმეისტრისაგან ცნობები მქონდა, ყველაფერს ვეუბნებოდი და ამით ვაკვირვებდიო. ყველაფერი, რაც ოქმში მაქვს ნაჩვენები, აზატოვმა გადმომცაო.

**ვექ. გედევანიშვილი.** მეათე საპოლიციო ნაწილი სად იმყოფება, ან რა დამოკიდებულება ჰქონდა ბრალდებულებთან?

**ბოიარინოვი.** მეათე საპოლიციო ნაწილი მეათე საპოლიციო ნაწილის რაიონში იმყოფება და რა დამოკიდებულება ჰქონდა ბრალდებულებს მეათე საპოლიციო ნაწილთან არ ვიცი—მე პოლიცმეისტერმა მიბრძანა და იმიტომ შევუდექი გამოძიებას.

**გრუზენბერგი.** რატომ ბრალდებულებს ხელი არ მოაწერინეთ?

**ბოიარინოვი.** კანონით შეიძლება ამისთანა შემთხვევაში ხელი არ მოვაწერინოთ ბრალდებულებს.

ეს და სხვა ამისთანა სიტყვები ბოიარინოვისა ვექილებმა ოქმში ჩააწერინეს. დასასრულ ბოიარინოვმა პროკურორის შეკითხვაზე განაცხადა, ბრალდებულები ფედერალისტებად აღიარებდნენ თავიანთ თავს, მათ შორის ორი სოც.-დემოკრატიც იყოო. სხვათა შორის, ბრალდებულმა აზატოვმა უთხრა, არ იცით რა დამოკიდებულება გვქონდა მე და მონასტირსკის, ან არ გახსოვთ, მონასტირსკიმ რომ გითხრათ: რაც ამან გითხრას, ყველაფერი დაუჯერე და ისე დაწერე ოქმიო?

ამაზე ბოიარინოვმა მიუგო არ მახსოვსო.

სხდომა საღამოს ხუთ საათზე გათავდა და 19 ნოემბრისთვის გადაიდო. გუშინ. 19 ნოემბერს, სხდომა, გუბერნატორის განკარგულებით, ხალხის დაუსწრებლად მოხდა. გუშინ უნდა გამოეკითხათ კიდევ შვიდ მოწმისათვის და წაეკითხათ არ დასწრებულ მოწმეთა წერილები. დღეს, უთუოდ, პროკურორი ილაპარაკებს და შემდეგ დამცველები. შეიძლება განაჩენი ხვალ გამოაცხადონ.

# წერილები

**ზემო ქართლი** (სურათები სოფლის ცხოვრებიდან). პირველი სურათი: კვირა დღეა. სასოფლო კანცელარია ღიაა. მამასახლისთან ხალხი ირევა: ზოგი პასპორტის ასაღებად არის, ზოგიც სასოფლო საქმეების გამო საჩივლელად; ზოგ მამასახლისს დაებარებინა უმაღლეს მთავრობის საქმეების გამოსაცხადებლად. ზოგიც ქვრივ-ოხერი მოკრძალებით შორი-ახლოს საჩივლელად ატუზულა.

ერთი ქვრივი დედაკაცი კანცელარიის კარებს ამოფარებია, იღლიაში რაღაც ამოუჩრია და ზედ შალი გადაუფარებია.

მამასახლისმა თვალი შეასწრო ამ ქვრივს, იღლიაში ამოჩრილი ინდოური ეგონა, მივიდა მასთან და წასჩურჩულა:

— ეგ ინდოური აგერ იმ საქათმეში შეაგდე,—საქათმე დაანახვა—და შენ აქ მოდი, რაც სათხოვარი გაქვს, შეგისრულებ.

— არა, ბატონო, ეს ჩემი ძუძუმწოვარა ბავშვია,—სთქვა ქვრივმა, ამოიყვანა იღლიიდან და დაანახვა პაწია ბავშვი,

მამასახლისი ნაწყენი დარჩა, მაყურებელნი კი იცინოდნენ.

მეორე სურათი: მომრიგებელ-შუამავალსაც დიდძალი მომჩივანი ახვევია გარს. ერთი ოსის მოხუცი დედაკაციც მისულა მომრიგებელ-შუამავალთან; მეზობელი მამულს ედავებოდა და მის გასაგებად გამოცხადდა; თან თავშალში სამი ხაბიზგინა (ხაჭაპური) გაეხვია (როგორც ჩვეულებადა აქვთ ოსებს, ე. ი. როდესაც ბატონთან რაიმე სათხოვარი გაუჩნდებოდათ, უსათუოთ ძღვნით უნდა მივიდნენ).

მომრიგებელ-შუამავალს მოახსენეს, ოსის დედაკაცმა სამი ხაბიზგინა მოგართვაო. შუამავალი თოფ-ნაკრავივით ზეზე წამოიჭრა და დედაკაცს, რომელიც შორი ახლოს მოწიწებით იდგა, შეუყვირა:

— როგორ გაბედე, მე ასეთ-ისეთო ამის მოტანა!—და ხაბიზგინები თავში ახალა.

გაბრაზებულმა მომრიგებელ-შუამავალმა დედაკაცი მუჯლუგუნების კვრით, ქუჩურის გინებით და უწმაწურის სიტყვებით გარედ გააგდო.

— თქვე დალოცვილო!—ბოლოს შეჰკადრა გაკვირვებულმა დედა-კაცმა— თუ კი აგრე გეწყინებოდათ, გეპრმანებინათ, უკანვე წავიღებდი და მაგ პატიოსნებასთან ლანძღვა-გინება-კი არ გეკადრებაო!

მომრიგებელი შუამავალი მედიდურად ირგვლივ მიმოიხედავს, მაყურებლები მის პატიოსნებაზედ იღიმებიან.

Legatus.

**ხონი.** ამას წინად გაჰქურდეს დაკეტილი მეწვლის დუქანი. წაიღეს 55 მანეთი ფულად და 600 მანეთის საქონელი. ქურდები შეიპყრეს და საქონელიც ნაწილი აღმოჩნდა. ქურდები ადგილობრივ მცხოვრებლები გამოდგნენ. სახელდობრ ორი ძმა ჯიშკარიანი, ლ. ბახტაძე და ერთი მეგრელი. ისინი ქურდობაში გამოტყდნენ.

აქეთ ეს ორი წელიწადია ჟურნალ-გაზეთებს ჰგზავნის სამტრედიის აგენტი. მის მოქმედებას, ცოტა არ იყოს, მიკერძოობას, ვატყობთ. არჩევს, რა გაზეთი რა მიმართულებისაა და იმის კვალობაზე გზავნის. როდესაც „ამირანი" დაიკეტა, მაშინ „ალს" ათ ცალს მეტს ჰგზავნიდა და როდესაც მეორე მიმართულების გაზეთი დაიხურება ხოლმე, პირველს ხუთი-ათი ცალით ნაკლებს ჰგზავნის. როდესაც „ეშმაკის მათრახი" და „ნიშადური" შაბათობით გამოდიდა „ეშმაკის მათრახს" ჰგზავნიდა შაბათობით და „ნიშადურს" კი კვირაობით. ან და ეხლა, როდესაც „ჩვენი კვალი" და „მათრახი" დაიხურა, „საქართველოს" ჰგზავნის ათი ცალით ნაკლებს. მასზე ვერავითარი წერილები ვერ მოქმედებს. უთვლიან, გამოგზავნე ასე და ასეო. ისკი გზავნის ერთს დღეს და შემდეგ კვლავ განაგრძობს თავისებურ პოლიტიკას.

დგება ზამთარი. დგება ის დრო, როდესაც ხონის გზებზე ადამიანს გავლა არ შეუძლიან. ყველას სძინავს და თავს არავინ არ იტკივებს ამისათვის. სახუმველია, ამ ზამთრისათვის სხვა თუ არა, ხონის უმთავრესი ქუჩა მაინც გააკეთონ. საერთოდ ყველა გზები გაფუჭებულია. წვიმა რომ მოვიდეს ან თოვლი, ან და წყალმა რომ პატარა მოიმატოს იმ წამსვე ქუჩები ივსება და გავლა შეუძლებელი ხდება. ასეთივე გზებია ახლო-მახლო სოფლებში. გზები ვერ გაუკეთებიათ და ამავე დროს ადმინისტრაცია აწესებს სოფლად დარაჯებს სოფლისავე ხარჯით. ყოველი სოფელი თვითურად უკანასკნელი ას მანეთს მაინც იხდის დარაჯების შესანახად. რით უნდა გააკეთოს სოფელმა გზა, როდესაც კაპეიკი არ გააჩნია. თუ რამე შემოუდის გლეხს, სხვას მიაქვს.

ალგიგ.

# სპარსეთის ამბები

**ახალი სახელმწიფო საბჭო.**

თეირანში 16 ნოემბერს დიდის ამბით გახსნეს ახალი „სათათბირო დაწესებულება—სახელმწიფო საბჭო—იუსტიციის მინისტრად ნამყოფის ნიზამულმულკის თავმჯდომარეობით. საბჭოში მონაწილეობას იღებს 40 კაცი. საბჭოს სხდომები გაიმართება თეირანში შაჰის სასახლეში და არა ბაღ-შაჰში. საბჭოს უმთავრესი მიზანია—შემუშავება ისეთის საარჩევნო კანონისა, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა პარტიებს.

**რევოლიუციონერების დამარცხება ხოიში.**

„პეტ. დეპ. სააგენტ" იუწყება: თავრიზში ცნობა მიიღეს, რომ რევოლიუციონერები დამარცხდნენ ქალ. ხოიშიო. დამარცხების შემდეგ რევოლიუციონერებმა სალმასტისკენ დაიხიესო. ამის თაობაზე თავრიზის ენჯუმენმა თათბირი მოახდინა.

შაჰის სარდალი სელიმ-ხანი თავრიზისკენ მიდის; 17 ნოემბერს იგი მივიდა დასკარხანს, თავრიზიდან 48 ვერსის მანძილზე.

# ბალკანეთი

**„ყოველ წამს ელიან ომსა".**

ბელგრადიდან ატყობინებენ გაზ. „გასპა"-ს: „სერბიაში ყოველ წამს მოელიან ომსა. როგორც გამოირკვა, სერბიის სახელმწიფო ხაზინა სრულიად უმიმარ ადგილასაა შენახული. 130 მილიონი ფრანკი მიუვალ კრაგუევაცში გადაიტანეს; ამას გარდა ამ დღეებში 200 მილიონი ფრანკი გადაიტანეს პარაზში".

# ჩინეთი

**ეხლანდელი მდგომარეობა**

ერთ ჩინელ წარჩინებულ მოხელეს, რომელიც ქვრივ-დედოფლის ცი-სის სიცოცხლის დროს იძულებული ყოფილა უცხოეთში გაქცეულიყო, ბევრი საინტერესო ამბავი უამბნია „რეჩ"-ის თანამშრომლისთვის. პროგრესისტ ჩინელებს ამ ჟამად თურმე ყველაზე ძლიერ აინტერესებთ ახალ იმპერატორის აღზრდის საკითხი. რეგენტმა პრინცმა ჩუნმა (იგივე ტუნი) გამოსცა ბრძანება, რომელშიაც გამოაცხადა, რომ მეც განსვენებულ იმპერატორისა და დედოფლის პოლიტიკას დავადგებიო. ამ ბრძანებამ ყველა პროგრესისტი ჩინელი ააღელვა: მათ ეგონათ, რომ ქვრივ დედოფლის გარდაცვალების შემდეგ დაიწყება ახალი ხანა თავისუფლებისა და პროგრესისა. ჩინელს უთქვამს:

პრინც ჩუნის რეგენტად დანიშვნა არაფერს კეთილს არ გვიქადის. იგი უხასიათო და ჭკუა მოკლე ყმაწვილი კაცია: ჩუნი 27 წლისაა, იგი მუდამ კარჩაკეტილი ცხოვრობდა ერთ-ერთ პატარა სასახლეში და ახლო არ ეკარებოდა არც ერთს საქმეს და აბა რა თაოსნობასა და მოქმედებას უნდა ველოდდეთ მისგან. ტუანი უმცროსი ძმაა განსვენებულ იმპერატორ გუანგ-სუს; ამას გარდა განსვენებულმა იმპერატორმა შეიშვილა მისი ვაჟიშვილი, ეხლანდელი იმპერატორი პუ-ი. ამიტომ კანონის ძალით იმპერატორის გარდაცვალების შემდეგ იმპერატორის უფლება გადავიდა პუ-იზე, ხოლო რეგენტად დაინიშნა მისი მამა ჩუნი. წინად ჩვენს იმედს ვამყარებდით განსვენებულ იმპერატორს გუანგ-სიზე, რომელიც იყო, დიდი ლიბერალი და ეწამა-კიდეც თავის პროგრესიულ რწმენისათვის. ეხლა მთელი ჩვენი იმედი უნდა დავამყაროთ ახალგაზდა იმპერატორის კარგს შესაფერ აღზრდაზე. მთავრობის ეხლანდელ ოფიციალურ განცხადებისა ჩვენ არა გვრწამს-რა; სულაც არა გვჯერა, რომ მან რეფორმები მოახდინოს.

არსებობდა და არსებობს აზრი, ვითომ ყველა სახელმწიფო საქმეს განსაკუთრებით ჰმართავდა ქვრივი დედოფალი ცი-სიო,—მაგრამ ეს მართალი არაა. ჩინეთის საქმეებს განაგებდა და განაგებს სახელმწიფო საბჭო, რომლის სათავეში დგას პრინცი ცინი. გამოუცდელი ახალგაზდა რეგენტი, რასაკვირველია, მთლად დაემორჩილება ამ ძველ მოხელეების გავლენას, ხოლო უნდა იცოდეთ, რომ სწორედ ეს მოხელეები არიან მიზეზნი ჩინეთის ეხლანდელ დამცირებულ მდგომარეობისა.

— მაშ რა გინდათ?

— ჩვენ გვინდა სრული განახლება ჩინეთისა. თუ იაპონიის პატარა ხალხმა სულ მოკლე ხანში მიაღწია ისეთს ბრწყინვალე განვითარებას და საპატიო ადგილი დაიჭირა მსოფლიო სახელმწიფოთა შორის, ჩინეთსაც შეუძლიან ისეთ მდგომარეობამდე მიაღწიოს, რომ მისი ხალხი კარგად ცხოვრობდეს და ყველანი პატივსა სცემდნენ მას. ამიტომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ იმპერატორის აღზრდას. ყველა განათლებულ ჩინელებს, ევროპაში მყოფთ, კარგად ესმისთ ესა და ამიტომ ისინი ეხლა განსაკუთრებულ დელეგატებს ჰგზავნიან პეკინში ამ აზრების გასავრცელებლად. დელეგატები პეტიციას გადასცემენ მთავრობას. პარიზსა და ლონდონში უკვე ათასზე მეტმა ჩინელმა მოაწერა ხელი ამ პეტიციაზე. ამნაირსავე პეტიციას გაჰგზავნიან იაპონიაში მყოფი ჩინელებიც. იქ ჩვენ 15 ათასამდე სტუდენტი გვყავს. ჩვენ გვინდა, რომ ჭაბუკ-იმპერატორს მიეცეს სრული ევროპიული განათლება. ამას გარდა ჩვენ ბეჯითად ვთხოულობთ, რომ ჩინეთის იმპერატორს საერო განათლების გარდა სამხედრო განათლებაც მიეცეს. ჩვენ ვთხოულობთ აგრეთვე, რომ ნაწნავების ტარება მოისპოს და ევროპიული ტანთსაცმელი შემოიღონ. ნაწნავების ტარება ჩვენში დაიწყეს მანჯურთა დინასტიის გამეფების შემდეგ, წინანდელ მინის დინასტიის დროს ჩვენ როდი ვატარებდით ნაწნავებს. ჩვენ გვინდა, რომ განათლებულ ევროპიელებისაგან ტანისამოსითაც არ განვსხვავდებოდეთ.

— მართალია, ვითომ პრინცმა ტუანმა ჯარი შეკრიბა და პეკინში მიდისო?

— ეგ ხმა ტყუილი უნდა იყოს. პრინცი ტუანი, რამდენადაც ვიცი, არ უყვარს ხალხს. ამას გარდა შეძლებაც არა აქვს. უფულოდ-კი ჩინეთში ჯარის შეკრება შეუძლებელია. პროვინციების მთავარ-მართებლებიც-კი დიდს ფულსა ჰხარჯა-

---

ვერას მოისწრებენ, ესე იგი ვერ გაუწევენ სამსახურს მოდგმის შენახვას. ამის გამოა, რომ ქორი სცოცხლობს 140—160 წ. ამ ხნის განმავლობაში იგი თავის მოდგმის შესანახად ასრულებს იმას, რასაც 10--15 საათის განმავლობაში—ყვითელ მკერდი პეპელა. როგორც შემჩნეულია მწერებს შორის დედლები უფრო მეტს სცოცხლობენ, ვიდრე მამლები. ამ გარემოებას ითვალისწინებენ იმით, რომ ცხოვრებაში დედლებს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მამლებს და ამის გამო ისინიც მეტს ცოცხლობენ (დედლები განაყოფიერდებიან, შობენ, ზდიან ჩამომავლობას და სხ.). ამის მიუხედავად ბუნებაში წინააღმდეგ მაგალითებსაც ჰქონია ადგილი: მაგ., პეპლებს შორის არიან იმგვარი მოდგმანი, რომელთა მამლები უფრო მეტი ჰყოლიათ, ვიდრე დედლები. მოდგმის გასამრავლებლად ამ შემთხვევაში მამლები იძულებულნი არიან მთელი დღეობით ეძიონ დედლები. ამ გვარი ძებნა და დევნა, რასაკვირველია თხოულობს დიდ ენერგიის ხარჯს. ამის გამო მათ გამრავლების მოქმედების ხანა უგრძელდებათ და მეტს ცოცხლობენ. მაშასადამე, როგორც სჩანს, სიცოცხლის ხანგრძლიობაზე სხვა მოვლენასაც ჰქონია დიდი გავლენა; მაგ., ის მწერები, რომელნიც სიცივის გამო აჩერებენ კვერცხის დებას, დიდ ხანს ცოცხლობენ.

ამ გვარსავე მოვლენას ვხედავთ მცენარეებშიაც. არიან იმ გვარი ერთღეროიანი მცენარეები, რომელნიც, გაუჩნდებათ თუ არა მათ ყვავილი, ათავებენ თავიანთ ზრდას. აქაც სიცოცხლის ხანგრძლიობა დამოკიდებულია იმ დროზე, რომლის განმავლობაში მცენარე ასწრებს ნაყოფის გამოღებას. ზოგიერთს მათგანს, მაგ., თაგვკუდას myosurus minimus ეს დრო სულ ცოტა აქვს და არ აღემატება რამდენსამე კვირას, ზოგიერთისთვის-კი, მაგ., საბრს (aloë) ეს დრო უდრის 50 წ. მაგრამ ამ საბრს ერთი სხვა რაიმეც ეტჩნევა: მისი სიცოცხლის ხანგრძლიობა დამოკიდებულია ადგილის მდებარეობაზე, მაგ., ამერიკაში ის იზრდება 5 წლამდე; 5 წლის შემდეგ იძლევა ყვავილს და კიდევაც კვდება. კანარის კუნძულზე ცოცხლობს 7—8 წ., ჩვენში კი—50 წ. მაშასადამე ადგილობრივ პირობების გავლენის გამო შესაძლო ყოფილა სიცოცხლის გაგრძელება. ამ მოსაზრებითაა, რომ ზოგიერთი მებაღეები პატარა სუნიან რეზედას გარდაავგარებენ ხოლმე ხის მსგავს მცენარედ.

ამ რიგად ჩვენ შეგვიძლია დავაბოლოოთ ვეისმანის მოსაზრებანი შემდეგის სიტყვებით: რამდენადაც ორგანიზმის სიცოცხლის უკიდურესი მიზანი შეადგენს მოდგმის შენახვას, იმდენად მისი სიცოცხლის ხანგრძლიობა დამოკიდებულია იმ დროზე, რომელიც საჭიროა ამ მიზნის მისაღწევად. ყოველივე, რაც აგრძელებს ამ დროს, აგრძელებს სიცოცხლის გაგრძელების დროსაც და რაც მოკლებს—ამოკლებს ამ დროსაც.

ყოველივე ზემო მოყვანილი ჩვენ შეგვიძლია ადვილად გავითვალისწინოთ, ვეისმანის აზრით, ბუნებრივ შერჩევის ანუ სარგებლობის თეორიით, აქ სხვა მოსაზრებებს არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მართლაც და, თუ სიცოცხლის ხანგრძლიობა დამყარებულია მარტო მოდგმის შენახვისათვის სარგებლობაზე, სხვა მოსაზრებებს რა ადგილი უნდა ჰქონდეს საკითხის გამორკვევაში? ვინაიდან სიცოცხლის ხანგრძლიობას მოჰყვება მოდგმის შენახვა, რასაკვირველია, სასარგებლო უნდა იყოს ორგანიზმისათვის მეტი სიცოცხლეც. იმ ბრძოლაში, რომელიც ხდება ბუნებაში გვარის გასაგრძელებლად, უეჭველია, უნდა დასძლიონ იმათ, ვინც უფრო განირჩევიან სიცოცხლის ხანგრძლიობით. ვინც მეტს სცოცხლობს, იმან მეტი დღიც უნდა დააჩნიოს ცხოვრებას ჩამომავლობის გამრავლებით და ამ რიგად ბუნებაში თაობითი თაობამდე უნდა გადააჭარბონ იმათ, ვინც განირჩევიან სიცოცხლის მეტი ხანგრძლიობით; მაგრამ აქ საგულისხმოა ის მოვლენა, რომ ამ მხრით ბუნებრივი შერჩევა მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზმს არა აქვს დიდი გამრავლებითი ძალა და მოდგმის გაძლიერებისთვის მას არა მოეპოვება რა, გარდა სიცოცხლის გაგრძელებისა, ყოველსავე სხვა შემთხვევაში ამ გვარი არსებობის ხანგრძლივობა მეტად უნდა ჩაითვალოს და ამას არც ხელს უწყობს ბუნებრივი შერჩევა. ბუნებრივი შერჩევა არ უწყობს ხელს უსარგებლო არსებობას, უსარგებლო არსებობა კი იწყება იმ დროიდან, როდესაც ორგანიზმი თავს ანებებს მოდგმისათვის სასარგებლოდ მუშაობას; რაც უფრო ადრე იწყება ეს დრო მით უფრო ადრე კვდება ორგანიზმი ბუნებრივის სიკვდილით.

ერთის სიტყვით შერჩევის თეორია გვასწავლის, რომ ყოველი ორგანიზმის სიცოცხლის უფლება არ აღემატება იმ სარგებლობას, რომელიც საჭიროა მისთვის მოდგმის შესანახავად. ამ თეორიის ძალით, ორგანიზმი კვდება იმისთვის, რომ დაუთმოს ადგილი სხვა ახალ ორგანიზმს დაწყებულ მუშაობის გასაგრძელებლად. ამასვე გვეუბნება პროფ. ვეისმანი. მაგრამ ნუ თუ მართლა მარტო ბუნებრივი შერჩევა მოქმედებს აქ? ბუნებრივ შერჩევის თეორია დიდად ხელსაყრელი თეორიაა იმისთვის, რომ მისი აწევდაწევა შესაძლოა ყველასათვის ვისაც როგორ სურს და როგორც გარემოება მოითხოვს. გნებავთ გაითვალისწინოთ მოდგმის შენახვა სიცოცხლის ხანგრძლიობით, თქვენ ხელთაა ბუნებრივი შერჩევა; გნებავთ ეს შენახვა გაითვალისწინოთ ორგანიზმის ნაყოფიერებით, აქაც ბანს გაძლევთ ეს ბუნებრივი შერჩევა. მაგრამ მივაქციოთ ყურადღება შემდეგს: ერთ უჯრიან სხეულებში მოდგმის შენახვა ხდება ზედმეტის განაყოფიერებით, ბევრ უჯრიან სხეულებში ეს ნაყოფიერება იცვლება სიცოცხლის ხანგრძლიობით. რა საჭირო იყო ბუნებისათვის ამ გვარი შეცვლა? რასაკვირველია, ვერავინ ვერ დაგვარწმუნებს იმაში, რომ დიდი ნაყოფიერება და სიცოცხლის სიმოკლე უფრო აკმაყოფილებდნენ მოდგმის შენახვას, ვიდრე ნაკლები ნაყოფიერება და სიცოცხლის ხანგრძლიობა. მაშასადამე, რით ხელმძღვანელობს ბუნებითი შერჩევა, როდესაც გვერდში უდგება ხან ერთს და ხან მეორე მოპირდაპირე მოვლენას? ბუნებრივი შერჩევა აძლევს უპირატესობას იმას, რაც უფრო სასარგებლოა მოდგმისათვისაო, ამბობს ვეისმანი. მაგრამ ისიც მართალია, რომ მიზანი უფრო ადვილად მიიღწევის ზედმეტი ნაყოფიერებით, ვიდრე სიცოცხლის ხანგრძლიობით. არა! აქ ბუნებრივ შერჩევის გავლენის გარდა სხვა მიზეზსაც უნდა ჰქონდეს გავლენა. ამ სხვა მიზეზად უნდა ჩაითვალოს თვით ორგანიზმის დამოკიდებულება გამრავლების მოქმედებასთან, ესე იგი გენეზისთან.

დ. ახვლედიანი.

(შემდეგი იქნება)

ვენ პროვინციალურ ჯარის შესახებ. ქვრივ-ღვრიოფლის დასაფლავებამდე არა მგონია, რომ ჩინეთში მოხდეს რამე, მაგრამ თუ საქმეთა მდგომარეობა შეუცვლელი დარჩა, მაშინ-კი უეჭველად დიდი არეულობა მოხდება ჩინეთში და იქნება ამ არეულობამ უცხოელ სახელმწიფოთა ჩარევაც გამოიწვიოს.

## ოსმალეთი

**ცვლილება სამინისტროში.**

ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ოსმალეთის სამინისტროში შემდეგი ცვლილება მოხდა: იუსტიციის მინისტრად ნამყოფი ჰასან ფეჰმი ფაშა დაინიშნა პირველ მინისტრად, მაკედონიის ვილაეთების გენერალ-ინსპექტორი ხილმი-ფაშა—შინაგან საქმეთა მინისტრად, პოლიციის პრეფექტად ნამყოფი მინის-ზადე-რეფექბეი—იუსტიციის მინისტრად, შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი ხაკი-ბეი—სახალხო განათლების მინისტრად. („პ. ს.")

დიდი ხანია ხმა დადიოდა, რომ ახალგაზდა ოსმალები პარლამენტის შეკრების უმალ დიდ ცვლილებას მოახდენენ სამინისტროში. მაგრამ მათ პარლამენტის მოწვევას აღარ დაუცადეს და ეხლავე საჭიროდ დაინახეს მინისტრების გამოცვლა. მოხუცებულ კიამილ-ფაშას ნაცვლად მათ დაუნიშნავთ უფრო ახალგაზდა, განათლებული და გულწრფელი პროგრესისტი—ჰასან ფეჰმი-ფაშა. შინაგან საქმეთა ახალი მინისტრი ხილმი-ფაშაც ცნობილია როგორც მხნე, ნიჭიერი მოღვაწე და გულწრფელი პროგრესისტი. ზოგიერ, გაუბედავ ხაკი-ბეისთვისაც უფრო შესაფერისი პორტფელი ჩაუბარებიათ—იგი დაუნიშნავთ სახალხო განათლების მინისტრად.

გავახსენებთ მკითხველს, რომ ოსმალეთის ახალი პირველი მინისტრი ჩამომავლობით **ქართველია,** ბათუმში დაბადებული.

**პირველი პარლამენტი**

სტამბოლის ხალხი დიდის მოუთმენლობით მოელის თავის პირველ პარლამენტის გახსნას. აუარებელი ხალხი თითქმის ყოველ დღე მიდის ნავთსადგურზე და მუსიკით, ბაირაღებით და გულწრფელის სიყვარულით და ალტაცებით ეგებება პროვინციალურ დეპუტატებს, რომელნიც უკვე იკრიბებიან სტამბოლში. დიდი იმედი აქვთ ოსმალებს თავიანთ პირველ პარლამენტისა.

მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ პარლამენტები ძნელად თუ ამართლებენ ხალხის იმედს. ნეტავ შეიძლებოდეს მომავლის ფარდა ავხადოთ და გავიგოთ: ნუ თუ აქაც ტალახში ამოსვრიან ხალხის რწმენას და ნუ თუ აქაც გაქარწყლდება მისი იმედი სილატაკიდან, დამცირებიდან და მონობიდან ამოსვლისა? საშწუხაროდ მომავლის გამოცნობა არავის შეუძლიან და ამიტომ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ზოგიერთ პირობებს, რომლებშიაც მოუხდება მოქმედება პარლამენტს.

ზოგიერთი პირობა ხელს უწყობს ოსმალეთის პარლამენტის ფართე და თავისუფალ რეფორმატორულ მოქმედებას. იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში ხალხის წარმომადგენლებს პირველ ნაბიჯის გადადგმის უმალ წინ გადაეღობნენ თავისუფალ წესწყობილების დარაზმული მტრები, აქაურ პარლამენტს ეხლავე მხარში უდგანან ხალხის მასსა, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ჯარი და მთავრობა. იგი არ შეალევს თავის ძალას უიმედო ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ, რადგან აქაური მთავრობა კონსტიტუციონურია და პარლამენტის ყოველს განაჩენს დაემორჩილება. აქაურ პარლამენტს როდი დასჭირდება სასოწარკვეთილებით ღაღადი: „აღმასრულებელი ძალა უნდა დაემორჩილოს კანონმდებელ ძალასო". იგი არ მოისმენს დღე და დღე ერთსა და იმავე განცხადებას მთავრობის მხრივ: „შეუწყნარებელია". აქაური პარლამენტი დინჯად და დაუბრკოლებლივ იმუშავებს მთავრობასთან და „ერთობის" კომიტეტთან ერთად და თავის ძალას მოანდომებს სამშობლოს აღორძინებას, მოქალაქეთა უფლების განმტკიცებას, წარმოების გაძლიერებას და ხალხის განათლებას. ყველაფერს, რასაც საზოგადოებრივი აზრი და მისი გამომხატველი—პარლამენტი—საჭიროდ ჩასთვლიან, შესრულებულ იქნება, რადგან სამშობლოს აღორძინებას ხელს მოუმართავენ ხალხის მთელი განათლებული ნაწილი და კანონის მორჩილი სამინისტრო.

მართალია ეხლანდელი კონსტიტუცია ვიწრო ფარგლებში აყენებს ხალხის წარმომადგენელთა პალატას და სულთანს აძლევს უფლებას: მინისტრები დანიშნოს და გადააყენოს, სენატის წევრები დანიშნოს და განდევნოს ის პირები, რომლებსაც იგი მავნებლად ჩასთვლის; მაგრამ არსებული კონსტიტუცია შეცვლილ იქნება და დაწესებულ იქნება პარლამენტარული წესწყობილება. ამ აზრისანი არიან ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტიც, პრესაც, სამინისტროც და უკვე არჩეულ დეპუტატთა უმეტესობაც. პირველი პარლამენტი ბუნებრივ ევოლიუციით გადიქცევა დამფუძნებელ კრებად: რომელიც შეიმუშავებს მმართველობის ახალ წესებს,—და უფლების ასეთს გადაჭარბებას არავინ არ ჩასთვლის ბოროტმოქმედებად და ამისთვის ვერავინ მისცემს დეპუტატებს სისხლის სამართალში. მაგრამ არსებული კონსტიტუცია ისეთს რეალურს უფლებებს აძლევს პარლამენტს რომელიც ძლიერ შესაშურია ზოგიერთ მის უფროს ძმებისთვისაც. ბიუჯეტში, მაგალითად, არაა ჯავშან გადაკრული მუხლები და სახელმწიფო ფინანსებისა და სახელმწიფო მეურნეობის მთელი დარგი ექვემდებარება ხალხის წარმომადგენელთა კანტროლს.

უნდა დარწმუნებულნი ვიყვნეთ, რომ პარლამენტი ძლიერ ფართოდ ისარგებლებს ამ უფლებით და იმედია, რომ ამ დარგშიაც მას არავითარი დაბრკოლება არ აღმოუჩნდება.

ჩვენ ვხედავთ, რომ მეჯლისს ბევრი პირობა შეუწყობს ხელსა და უკვე გაწმენდილ და დამზადებულ ნიადაგზე მოუხდება მოქმედება. ალმოსავლეთის ხალხის გონება სადაა და, თუ გნებავთ, გულუბრყვილოც. ძველი რეჟიმის დროს მოურიდებლად აშკარად სძარცვავდნენ, იპარავდნენ, ითვისებდნენ და კანონებს არღვევდნენ, ეხლა კი ისევ ისე მოურიდებლად და პირდაპირ უბრუნებენ სახელმწიფოს მოტაცებულ ქონებას, და ფიქრადაც არავის მოსდის, რომ ესეთი მოქმედება ჩასთვალოს საკუთრების წმინდა უფლების დარღვევად და სახელმწიფო საფუძვლების დამხობად.

ასე რომ ოსმალეთის პარლამენტს შეუძლიან დაუბრკოლებლივ, დინჯად და დალაგებით იმუშაოს და შეასრულოს ის დიდებული საქმე, რომლისთვისაც ხალხი ირჩევს თავის წარმომადგენლებს,—და აი სწორედ ეს შეადგენს უზომოდ დიდს და იშვიათ უპირატესობას ოსმალეთის პირველ პარლამენტისას. ესვე გვაძლევს იმედს, რომ მისი შრომა უნაყოფო არ იქნება. (რ. ვ.)

## რუსეთი

**ჩამოხრჩობა.** სამხედრო სასამართლოებს ჩამოხრჩობა გადაუწყვეტიათ: რიგაში ერთისთვის ვორონეჟში—1, ეკატერინოსლავში—4, მოგილევში—1 და კიევში უკვე ჩამოუხრჩვიათ 1.

**სოციალ-დემოკრატების ორგანიზაციის საქმე.** პეტერბურგში სასამართლომ უკვე დაამთავრა სოციალ-დემოკრატების სამხედრო ორგანიზაციების საქმე. სამართალში მიცემული იყო 24 კაცი. ამათგან სასამართლომ 15-ს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, 6 გადასახლება, სამი გაამართლა.

**„ჭეშმარიტი რუსები" და ებრაელები.** ამ მოკლე ხანში ოდესაში „ჭეშმარიტ რუსთა" კრება მოხდა. კრებას ხელმწიფისთვის დეპეშა გაუგზავნია, ხოლო მინისტრისთვის თხოვნა, „ჭეშმარიტი რუსები" თხოულობენ, რომ ებრაელები განდევნილ იქმნან რუსეთის საზოგადოებრივ, სავაჭრო და სამრეწველო ცხოვრებიდანო.

**შინაგან მინისტრის განკარგულება.** შინაგან საქმეთა მინისტრს ამ დღეებში ახალი ბრძანება გამოუცია, რომლითაც გუბერნატორებს, გრადონაჩალნიკებს და გენერალ-გუბერნატორებს ეკრძალებათ პრესის წარმომადგენლებთან რაიმე ბაასი. ასეთი განკარგულების მიზეზი, როგორც გაზეთები გადმოქვცემენ ერთ გაზეთის მიერ გუბერნატორის ნალაპარაკევის დაბეჭდვაა, რომელსაც ცუდი გავლენა იქონია საზოგადოებაზე.

**სიმღერების აკრძალვა.** ბეჭდვითი სიტყვის მთავარმა კომიტეტმა ამას წინად ის აზრი გამოსთქვა, რომ სამუსიკო ნაწარმოებნიც მის ნებართვით უნდა გამოდიოდეს და ამასთან აღკრძალა „რუსული მარსელიოზა" „კარმანიკა," „წითელი დროშა", „დუბინუშკა-მაშინუბკა", „მედგრად მეგობრებო ნუ დაიბნევით„, „ფეიქრები" „ვარშავიანკა", „მედგრად ამხანაგებო", „სამგლოვიარო" და „დასამარხი" მარშები. მოსკოვის სამოსამართლო პალატას კანონიერად უცვნია მთავარ კომიტეტის დადგენილება.

**სტამბის აღმოჩენა.** ქ. კალიშში პოლიციას აღმოუჩენია საიდუმლო სტამბა. სტამბიდან წაუღიათ 29 ფუთი შრიფტი.

**ყირგიზული გაზეთი.** როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ყირგიზულ ინტელიგენტთა ერთ ჯგუფს გადაუწყვეტია გამოსცეს გაზეთი ყირგიზულ ენაზე. ამ საქმისთვის ორენბურგში ჩასულა სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი კარატაევი. ეს გაზეთი პირველი იქნება ყირგიზულ ენაზე.

რედაქტორ-გამომცემელი
**ივანე სოზიაშვილი.**


## განცხადებანი

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეშან მოხიარულე ავადმყოფთათვის.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.

ტელეფონი N 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ.ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 4—5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 10-ნახ. 12 ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურისა, ყელი. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3 საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—1 საათ.

**პივარსკი** — | კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით.

(100—5.—79)

**ურისკოდ** **თუ მუშტარს საქონელი არ მოეწონა, ფული დაუბრუნდება. ინგლისური** მეტად გამძლე პრაქტიკული **ტრიკო**—კოსტა, მატყლის მატერია წარმოსადეგ და სრულ მამაკაცთა კოსტიუმებისთვის—შავი, მუქი-ლურჯი, ყომრალი წინწკლებიანი, ყვითელი წინწკლებიანი, უჯრებიანი, ზოლებიანი, რუხი, მარენგო და სხვა ფერისა და სურათებისა. ფაბრიკა უგზავნის ყველა ამას მსურველს ფოსტით ფას დადებით უბლოდ. ჰგზავნის აგრეთვე ნაჭრებად 4 არშინს და 1 ჩარექს კაცის კოსტიუმისათვის—5 მ. 50 კ. უფრო კარგი ღირსებისას—6 მ. 85 კ. „პრიმას" სორტისას—8 მ. 40 კ. „ექსტრას"—10 მ. 50 და 12 მ. 50 კ. სამ ან მეტი ნაჭრის დაბარების დროს მყიდველს ეძლევა საჭირო სარჩულიც.

◀ **სრულიად უფასოდ** ▶

ჩაწყობა და გაგზავნა ფაბრიკის ხარჯით.

ადრესი: Г. Лодзь. Фабрика Товарищества Суконно-Шерстяной Мануфактуры N 18.

ფირმას მიღებული აქვს მეფალი ფონის რეზტოვის ვამდებულნაზე. მოითხოვეთ უფასოდ სრული პრეის-კურანტი.

(3—ფ—3)

## ქართველთა ამხანაგობის ადმინისტრაცია

ამით აცხადებს, რომ, თანახმად მისი დადგენილებისა, ამხანაგობის გამოცემანი იყიდება ნაღდ ფულზე დაკლებულ ფასად, ხოლო არა ნაკლებ სამ-სამი ცალისა:

| | |
|---|---|
| „აივენგო" ვალტერსკოტისა | 40 კ. |
| „სიბრძნე ბალავრისა" | 30 „ |
| „დაბადება და აღზრდა მეფე ერეკლესი", პოემა ბარანასი | 5 „ |
| რ. ერისთავის თხზულებანი | 50 „ |
| „რძე", პროფეს. პეტრიაშვილისა | 80 „ |
| „სიბრძნე სიცრუე" | 30 „ |
| „სოფლის კუნწულა", მაჩხანელისა | 5 „ |
| ა. ყაზბეგის თხზულებანი: II ტომი მამის მკვლელი | 60 „ |
| III ტ. მოძღვარი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 90 „ |
| ალ. ყაზბეგის თხზულებანი ერთ წიგნად, დიდი ტომი | 1 მ. 75 „ |
| „ცეცხლითა და მახვილითა" სენკევიჩისა | 1 მ. — „ |
| აკაკი წერეთლის თხზულებანი I ტ. | 50 „ |
| მისივე. II ტ. | 50 „ |
| ილია ჭავჭავაძის ნაწერები ტ. III | 50 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. — „ |
| ილია ჭავჭავაძის. IV ტ. | 1 მ. — „ |
| საქართველოს ბატონიშვილების სურათები | 10 „ |
| შიო არაგვისპირელის ნაწერები I ტ. | 15 „ |
| „ „ II ტ. | 15 „ |
| სამზარეულო | 1 მ. 12 „ |
| მასალები საქართველოს ისტორიისთვის ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა | 50 „ |
| „ღალატი" სუმბათაშვილისა, სურათებით | 75 „ |
| „დონკიხოტი" | 1 მ. — „ |

(3—5.—3)

**✱ პროვოდნიკის ✱**

**ამხანაგობა**

**რიგაში**

1888

სატფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

● **იყიდება ნარდად და ცალობით:** ●

**რეზინის საეკიპაჟო შინები,**

**პნევმატიური ავტომობილის შინები „ალმაზი"** (წითელი),

**პნევმატიური შინები ველოსიპედებისთვის,**

**მკვიდრ. რეზინის შინები ავტომობილებისა—ომნიბუსისთვის.**

„პროვოდნიკი"-ს ამხანაგობის შინები მრავალი წლის გამოცდილებით საუკეთესო შინებად არის მიჩნეული და ღირსებით აღემატება საზღვარ-გარეთის საუკეთესო ფაბრიკატებს, რასაც მოწმობს არა მარტო ის, რომ რუსეთის სახელმწიფოში ამ შინებზე დიდი მოთხოვნილებაა, არამედ ის, რომ აუარებელი და უმთავრესად საზღვარ-გარედ გადის.

**ცალობით ვაჭრობა დედა-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი"-სა**

**გალოშები „პროვოდნიკისა"**

18 97

**პატენტ-მიღებული**

საუკეთესო მთელ ქვეყნიერობაზე



პირველი ადგილი უჭირავთ სიმკვიდრით, და ხელმოხმარებულ ფასონის სილამაზით საქონლის ღირსებით.

**უეჭველი თავმდებობა საქონლის სამაგალითო სიმტკიცისა და სიმაგრისა ყოველ წყვილზე.**



**✱ პროვოდნიკისა ✱**

1888

**წარმომადგენლები მთელ კავკასიისთვის**

**ტფილისი და ბაქო.** **მიუნხ და ვეის**

(50—5.—24)